აჭარის ზღვისპირეთში ფრინველზე ნადირობის პრაქტიკისა და სოციალური ასპექტების შეფასება

მირზა მოდებაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნუგზარ ზაზანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

მირზა მოდებაძე, 05.07.2014

აბსტრაქტი

ნადირობა, დღეისთვის, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გართობის საშუალებად ითვლება. ამასთან, საქართველოს ფაუნის სახეობების დიდი რაოდენობის მდგომარეობა პრობლემურია. გამონაკლისს არც ორნიტოფაუნა წარმოადგენს: საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია ფრინველთა 33 სახეობა (იხ. ქვემოთ ცხრილი 1). ამასთან ნადირობის სექტორი დღეისთვის საკმაოდ ქაოტურია, ამ მიმართულებით მიმდინარეობს ახალი საკანონმდებლო-რეგულაციური საფუძვლების დამუშავება.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ნადირობის პრობლემას ეძღვნება, კერძოდ, ნადირობას გადამფრენ ფრინველებზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ძირითადად აჭარის ტერიტორიაზე). კვლევის მიზანს სწორედ ასეთი ნადირობის სფეროში სიტუაციური გარკვევა წარმოადგენდა, რისთვისაც შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვარი და საკვლევ ტერიტორიაზე გამოიკითხა 100 რესპონდენტი (მონადირე).

გაირკვა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის ნადირობა შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენს და ის ძირითადად ტრადიციული გართობის მიზნებს ემსახურება. ასევე, გაირკვა, რომ მეტად დაბალია მონადირეების ცოდნის დონე: ისინი ძნელად არჩევენ სახეობებს და მათ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საქართველოს წითელი ნუსხისა და იქ შეტანილი სახეობების შესახებ.

ნაშრომის ბოლოს კვლევის შედეგების მიხედვით ჩამოყალიბებულია დასკვნა და რეკომენდაცია, რაც სამონადირეო დარგის და კერძოდ მდგრადი ნადირობის ჩამოყალიბება-განვითარების დღევანდელ პროცესში შეიძლება იქნეს გათვალისწინებული.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნადირობა; დაცული ტერიტორიები;

მადლობა

ავტორი დახმარებისთვის დიდ მადლობას უხდის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ალექსანდრე გავაშელიშვილს და ასისტენტ-მკვლევარს ზურაბ ჯავახიშვილს.